საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
www.transparency.ge

12/09/2016
03/ბ-059

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს,
ქალბატონ რუსუდან იმედაიშვილს,

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი 02/-22/388 (05/09/2016) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს აპარატის მიერ დირექტორის არჩევის წესის შესახებ მომზადებულ პროექტი, ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მედია პროგრამების გუნდმა და ბათუმის ოფისის წარმომადგენლებმა დეტალურად შეისწავლეს. შესწავლის შედეგად, აღმოჩნდა რამდენიმე გარემოება, რომლის დაზუსტება ან შეცვლა სასურველია.

ამასთან, ორგანიზაცია აფასებს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს ძალისხმევას, პროცესში ჩართული იყოს არასამთავრობო სექტორი. იმედი გვაქვს, მომავალშიც ასეთივე სულისკვეთებით გავაგრძელებთ ურთიერთობას. ჩვენი მხრიდან, მზად ვართ, ნებისმიერ საკითხში, რომელიც მაუწყებლის მუშაობის გაუმჯობესებას და სამართლებრივი ნაწილის დახვეწას ემსახურება, აქტიურად ჩავერთოთ.

რაც შეეხება საკითხებს, გთავაზობთ ჩვენს ხედვას ზემონახსენებ გარემობებთან დაკავშირებით:

- მუხლი 3.3.-ში მითითებულია, რომ წარდგენილ დოკუმენტაციაში უნდა იკითხებოდეს "სანოტარო აქტების საიდენტიფიკაციო კოდები. ეს თავისთავად გულისხმება და არ არის საჭირო ამის მითითება პროექტში. ასევე, დებულებაში არ არის საჭირო მუხლი 3.5-ის ბ პუნქტის მითითება. 3.5 მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით, აპლიკანტმა უნდა განაცხადოს თანხმობა დოკუმენტების გასაჯაროებაზე. უმჯობესია, სამეთვალყურეო საბჭომ თავის განცხადებაში მიუთითოს, რომ წარმოდგენილი განცხადებები გასაჯაროვდება, რაც თავისთავად გულისხმობს აპლიკანტების თანხმობას.
- კანონთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ საბჭო პირდაპირ კენჭს უყრის კანდიდატებს. კენჭისყრამდე არ არის გასაუბრება ან შერჩევის რაიმე პროცედურა კანდიდატებს შორის. გაუგებარია, რის საფუძველზე უნდა გააკეთოს საბჭომ არჩევანი. კანდიდატებისთვის არც ხედვის და სტრატეგიის წარდგენის ვალდებულება არაა განსაზღვრული. შესაბამისად, არსებული წესით, შეიძლება აირჩიეს კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა და სტრატეგია მაუწყებლის განვითარებასთან დაკავშირებით. მუხლი 3.7-ში ნათქვამია, რომ კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა დამატებით შეიძლება წარმოადგინოს მაუწყებლის განვითარების პროგრამა (სტრატეგია) და სამოტივაციო წერილი -

თბილისი, საქართველო
აღმაშენებლის გამზ.61, 0102
ტელ.: +(995 32)292 14 03
ფაქსი: + (995 32)292 02 51

Tbilisi, Georgia
61, Aghmashenebeli Ave, 0102
Tel.: +(995 32) 292 14 03
Fax: +(995 32) 292 02 51

ბათუმი, საქართველო
ფარნავაზ მეფის ქ. #74, ბინა #9
ტელ.: +995 0422 29 44 88

Batumi, Georgia
74, Parnavaz Mepe str. Apt 9
Tel.: +995 0422 29 44 88

ზუგდიდი, საქართველო
ცოტნე დადიანის ქ. 2, 2100
ტელ.: 0 415 22 37 20

Zugdidi, Georgia
2, Tsotne Dadiani, 2100
Tel.: 0 415 22 37 20

ქუთაისი, საქართველო
თამარ მეფის ქ. 21
ტელ.: +(995 431) 25 45 31

Kutaisi, Georgia
21 Tamar Mepe str.
Tel.: +(995 431) 25 45 31

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
ადმინისტრაციული
№ 02-22/01/391
№ "12" 09 2016

ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ ეს ორი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულო იქნება, რათა საბჭოს თავიდანვე ჰქონდეს წარმოდგენა აპლიკანტის ხედვასა და მოტივაციაზე.

- 3.10-ში აღნიშნულია, რომ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეიძლება გამოქვეყნდეს დაინტერესებული პირების სრული სია, მათ მიერ წარმოდგენილი დანართებით - ვფიქრობთ, ცალსახად უმჯობესი იქნება, თუ პროექტში მითითებული იქნება, რომ სია და დანართები აუცილებლად გამოქვეყნდება - მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ასეთ ინფორმაციაზე.
- მუხლი 5.4 ბუნდოვანია. ნათლად არ არის განსაზღვრული რა ხდება თანაბარი ხმების დაგროვების შემთხვევაში; ბუნდოვანია 5.5 მუხლიც. გაურკვეველია, რამდენჯერ არის შესაძლებელი კენჭისყრის ჩატარება განსაზღვრული ვადის განმავლობაში. რადგანაც კანდიდატებს კენჭი ეყრებათ ინდივიდუალურად, გაურკვეველია, თუ როგორ შეძლებენ კანდიდატები, რომლებმაც ორჯერ ვერ მოახერხეს უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება განმეორებით კენჭისყრაზე ხმების დაგროვებას. საკმარისია ერთი ხელახალი კენჭისყრა, რის შემდეგაც კონკურსი გამოცხადდება ხელახლა;
- გაურკვეველია ჩანაწერი: "განცხადებაში უნდა აღნიშნოს და დააჯამოს სამუშაო გამოცდილება, თითოეული ცალკ-ცალკე";

დამატებით, ვფიქრობთ, რომ კონკურსის შესახებ ინფორმაცია არამხოლოდ აჭარის საზმაუს ვებგვერდზე, არამედ HR.gov.ge-ზეც უნდა გამოქვეყნდეს.

კიდევ ერთხელ, მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

მალხაზ ჭკადუა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს"
რეგიონული ოფისების ხელმძღვანელი